შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20(9.930)

20-27 ივნისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ჯეირანი ქართული ცეკვაა

დედოფლისწყაროში, ორი მდინარის- ალაზნისა და ივრის- შუაში ბუნება უნიკალური სახით იშლება. ჭალის ტყეების მთავარი და გამორჩეული ბინადარნი ვერხვები არიან. მათი ვერცხლისფერი ხელები ცად აწვდილან „ლოცვა-ვედრებად“, ასე ღმერთთან ახლოს გრძნობენ თავს. ვერხვებთან ერთად აქ ტირიფებიც გვხვდებიან. მათი ვერცხლისფერი ფოთლები კეკლუცად დახრილან ნყლისკენ და მდინარეების ორივე ნაპირს გასდევენ თვალსაწიერამდე. ზოგადად, ტირიფს სევდიან ხეს უწოდებენ, თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ამ ადგილას, სადაც უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ჰავა სჭარბობს და აქ, ბუნების წიაღში, მტირალა ტირიფები სიხარულის სიმბოლოდ აღიქმებიან. მხოლოდ მათ ჩრდილქვეშ შეუძლია დასიცხულ ცხოველს თავის შეფარება და დასვენება. წყლის დალევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ახლაც, პაპანაქება სიცხეა, მაგრამ ჭალის ტყეების ჩრდილქვეშ მხიარულება სუფევს. სიცხეში სხვადასხვა არსება დაბანაკებულა. ერთმანეთს ებმის ველური ბუნების ბინადართა „განცხრომით“ ფშვინვა და ფრინველთა ნაირხმოვანი გალობა. ამ ხმებს მეორე ნაპირიდან ექო ეხმაურება.

ექოს თუ გავყვებით, ჭალების მეორე მხარეს უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს პეიზაჟი გადაგვეშლება თვალწინ. ალესილები, ყვითელი მთები აფრიკის უდაბნოს მაგონებს. აფრიკული კანიონების ხსენებაზე წამიერად მათი ბინადრები მახსენდება, რატომღაც ვეფხვი და ანტილოპა... როგორც ჩანს, უდაბნოს ჰავამ იმოქმედა და მირაჟი მაქვს.

ვაშლოვანს რამდენიმე წლის წინ საკუთარი მეფეც ჰყავდა, მაგრამ ის სადღაც გაქრა. მხოლოდ ფოტოხაფანგით გადაღებული ფოტო -სახსოვარი დაგვიტოვა. მას შემდეგ ველით მის გამოჩენას,მაგრამ ამაოდ... როგორც ჩანს, მეფე დაბრუნების გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად მიიღებს.

თვალუნვდენელ ველზე სტეპის ეკოსისტემისათვის დამახასიათებელი მცენარეები იწონებენ თავს. მელნისფერი შეფერილობა დასდებია ავშანს. უცებ მცენარე ირხევა და პატარა დრუნჩი მის ღეროს სხვდება. ძლივს ვლანდავ პატარა არსებას. ფრთხილობს და ცდილობს, ისე მოიქცეს, რომ ყურადღება არ მიიქციოს. ბუნებასთან საოცრად ადაპტირებულია მისი სხეულის შეფერილობაც. ეს ჯეირანია, უფრო სწორად, მისი პატარა შვილი-ლიკლიკა. ვცდილობ, არ შევიმჩნიო, რომ დავინახე და ადგილიდან არ ვინძრევი. ვიცი, ძალიან ფრთხილია და ხმაურს და ადამიანებს ერთნაირად უფრთხის. პატარამ ვერა, მაგრამ მისმა დედამ შემამჩნია. ბალახის ჭამა შეწყვიტა, თითქოს ცერზე შედგა და რაღაც უცნაური, სტვენის მაგვარი ხმა გამოსცა. სხვა ჯეირნებმა ამ დროს თავი წამოყვეს და კუდები ასწიეს, მერე კი ერთად ასე ლამაზები და მოჭიმულები მოსწყდნენ ადგილს და სწრაფი ნახტომებით სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. მათმა ამ დახვეწილმა მოძრაობამ ქართული ცეკვა „ჯეირანი“ გამახსენა. ამაყი და ლამაზი ქალი გრაციოზული მოზრაობებით უსიტყვოდ გადმოსცემს სათქმელს. ეს ცეკვა კლასიკური ბალეტის ილეთებისა და ნადირობის რიტუალის ამსახველი დინამიური სცენების სინთეზია. ფაქტია, ცეკვის დამდგმელის მუზა ეს ბუნების ულამაზესი სახეობა გახლდათ.

როგორც ამბობენ, ჯეირნები80 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებენ, ამიტომ მათი დაწევა ყველაზე გამოცდილ მტერსაც კი უჭირს. მათ შორის ჯეირნების ფოტოების მოყვარულთათვისაც სერიოზული რუტინული სამუშაოა შესაბამისი კადრის დაჭერა.

ეს ისეთი შთამბეჭდავი სანახაობა იყო, ენა ჩამივარდა და გავშეშდი. მათ სილამაზესთან ერთად ინფორმაციის გადაცემის უნიკალურმა სისტემამ გამაოცა. მე შოკი მივიღე, კულტურული შოკი.

ცხელი ჰავა მელამუნება, ყვითელ ქვიშას სახეზე მაყრის და მაფხიზლებს.

მეღიმება. ესეც ჩვენი ანტილოპა, ქართული ანტილოპა.

„მირაჟი“ ქრება და რეალობა თავს მახსენებს.

ახლა ქურციკს საქართველოში მხოლოდ ვაშლოვანის ნაკრძალში, სამუხის ველზე ნახავთ. არადა, მეცხრამეტე საუკუნეში, ამ მშვენიერი ცხოველის ნახვა თბილისის მახლობელ თითქმის ყველა სტეპზე შეიძლებოდა, თუმცა ჭარბი ნადირობის, საბინადრო გარემოს სახეცვლილებისა და ცხვართან კონკურენციის შედეგად სახეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. დღეს ის წითელ წიგნშია შეტანილი, ხოლო საქართველოში მისი აღდგენის პროექტი ვაშლოვანის ნაკრძალში ხორციელდება.

ქურციკების ოჯახში მატებაა- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, გამწვანებულ სამუხის ველზე, ლიკლიკები გამოჩნდნენ და ისინი თავს შესანიშნავად გრძნობენ- ინფორმაციას WWF Georgia ავრცელებს.

წელს, საქართველოს ტერიტორიაზე ქურციკების მეექვსე თაობა დაიბადა, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში ამ სახეობის სრულფასოვანი პოპულაციის აღდგენისათვის.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა საქართველოში ამ მშვენიერი პოპულაციის აღდგენა, მეცნიერებისა და ამ დარგის გულშემატკივართა პასუხი ერთია:

- ეს დიდ სახსრებს, დროსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს, თუმცა დიდი ძალისხმევით ყველაფერია შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაციამ ძალიან შეამცირა ქურციკისთვის გამოსადეგი ტერიტორია, მაინც გვაქვს საკმარისი ფართობი, სადაც ის არსებობას შეძლებს - ვაშლოვნის ნაკრძალში ან შირაქისა და ივრის ზეგანზე, ოღონდ უნდა შემცირდეს ზამთრის საძოვრების დატვირთვა და ჭარბი ძოვების გამო ეროზირებული ფართობები აღდგეს.

საღამოვდება. ველს ჩამავალი მზის სხივები მისტიური ფერებით ავსებს. ვტოვებ ველური ბუნების ბინადართა ბანაკს მომავალი შეხვედრის სურვილითა და იმედით. მაცილებს მზიური ველის სერენადა, აბზინდის სურნელითა და ჯეირნის ამაყი გამოხედვით გაჯერებული...

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

„დანი“ - ახალი კომპიუტერული ცენტრი ოზაანში

16 ივნისს, სოფელ ოზაანში კომპიუტერული პროგრამების შესწავლისა და მომსახურების ცენტრი „დანი“ საზეიმოდ გაიხსნა. პროექტი ოზაანში მცხოვრებმა თამარ ყველაშვილმა ევროკავშირის დაფინანსებით ENPARD 2- ის პროგრამის ფარგლებში განახორციელა. როგორც მან პროექტის პრეზენტაციისას განაცხადა, „სოფლის ახალგაზრდებს, და არა მარტო მათ, შეეძლებათ თვენახევრიანი კურსის გავლის მეშვეობით აითვისონ კომპიუტერული პროგრამები როგორც საოფისე, ასევე გრაფიკული დიზაინის განხრით. ყველა მოსწავლე მიიღებს განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს“- აღნიშნა თამარ ყველაშვილმა.

პრეზენტაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ევროკავშირის წარმომადგებლები ესწრებოდნენ. ისინი დადებითად აფასებენ აღნიშნულ პროექტს და მიიჩნევენ, რომ ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მომავალი თაობის განათლების საქმეში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ახალი კომპიუტერული ცენტრის გახსნა ოზაანელებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა. ,,ჩვენ მივესალმებით ყველა ასეთ წამოწყებას და მხარს დავუჭერთ სოფლის განვითარების მიზნით გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს“-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ჩვენ ახლა ვიმყოფებით კომპიუტერული სწავლების ცენტრში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის ფარგლებში. ეს არის ნათელი მაგალითი იმის, რომ ხელი შევუწყოთ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს, ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა კომპიუტერული პროგრამების შესწავლაზე და, რაც მთავარია, ამის მისაღებად მათ არ დასჭირდებათ სოფლიდან წასვლა, რაც დაზოგავს როგორც მათ ფინანსებს, ასევე დროსაც“ - განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ევროკავშირის წარმომადგენელმა ნინო ჩიტოშვილმა.

შეგახსენებთ, რომ HEKS-EPER-ისა და პარტნიორი ორგანიზაცია „ელკანას“ მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპლიტეტში მეოთხე წელია, პროექტი ,,სამოქალაქო ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის“ ხორციელდება, რომელიც ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) ერთად საგრანტო კონკურსებს აცხადებს. თამარ ყველაშვილიც მორიგი ასეთი კონკურსის გამარჯვებულია.

ინგა შიოლაშვილი



„წითელი ჯვარი“ პანდემიასთან ბრძოლაში

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც დედოფლისწყაროში პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სახით არის წარმოდგენილი, ადგილობრივ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აქტიურად უწევს სხვადასხვა ტიპის დახმარებას. ეს იქნება ექოსკოპიური თუ ლაბორატორიული გამოკვლევები, თვალის, კარდიოლოგიური თუ გინეკოლოგიური მომსახურება. გარდა ამისა, ორგანიზაცია საქველმოქმედო აქციებსაც ხშირად ატარებს და ცდილობს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს მცირედი დახმარება გაუწიოს.

პანდემიის პირობებში კი ასეთი დახმარება და გვერდში დგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაშინ როდესაც ქვეყანა და ხალხი არაერთი სახის ზეწოლას განიცდის. გაზეთი „შირაქი“ პანდემიის პერიოდში ჩატარებულ აქციასთან დაკავშირებით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის მენეჯერს ნათელა თამაზაშვილს გაესაუბრა:

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აქტიურად არის ჩართული COVID-19-ის პანდემიის პირობებში, ხალხის დახმარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებსა თუ ჰუმანიტარულ აქციებში. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ 100 ოჯახს დავეხმარეთ. აქედან 81 ოჯახი იყო კომპანია „ფრონტერას“ თანამშრომლები, რომლებიც დაზარალდნენ 11 თვის განმავლობაში უხელფასოდ ყოფნის გამო. დანარჩენი 19 ოჯახი კი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები იყვნენ, რომლებიც წინა აქციების დროს ვერ მოხვდნენ ამ სიებში. მათ გადაეცათ საკმაოდ კარგი ჰუმანიტარული ტვირთი, რომელშიც შედიოდა, როგორც საყოფაცხოვრებო და კვების პროდუქტები, ასევე დეზინფექციის და ქიმიური საშუალებები. სამწუხაროდ, ყველას ვერ გავწვდებით, მაგრამ რა საშუალებაც გვეძლევა, ვცდილობთ მაქსიმალურად მოვიცვათ მოწყვლადი ჯგუფები.“

ქალბატონი ნათელა აღნიშნავს, რომ მათი პირველადი ჯანდაცვის კლინიკა მომავალშიც აპირებს სამედიცინო და ჰუმანიტარული აქციების ჩატარებას, მაშინვე, როდესაც ამის საშუალებას პანდემიისგან შექმნილი მდგომარეობა მისცემს:

„სოფლებში გასვლას ჩვენ კვლავაც ვაპირებთ, მაგრამ არსებული პანდემიური მდგომარეობა გვიშლის ხელს და ვერ გავდივართ, თუმცა ეს ჯერ-ჯერობით. ჩვენი კლინიკა პაციენტებს მართალია იღებს, მაგრამ არა იმ სიხშირითა და ინტენსივობით ,როგორც პანდემიამდე ხდებოდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული. ის მუდმივმოქმედი აქციებიც რასაც ვატარებთ ხოლმე, დროებით შეჩერებული გვაქვს. მოსახლეობას ყველაზე მეტად სჭირდება სამედიცინო აქციები, რადგან ყველანაირი მომსახურების გაწევა შეგვიძლია. ეს გასაგებიც არის, რადგან ყველამ ვიცით, რომ სხვადასხვა ექიმთან ვიზიტი და შემდგომი გამოკვლევები დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. სანამ ჩვენი სათაო ოფისი და ადგილობრივი თვითმმართველობა არ დაგვრთავს ნებას, პანდემიის პირობებში ჯერ-ჯერობით ამ პირობებში ვიმუშავებთ.“

შეგახსენებთ, რომ აქციებში და სასურსათო და ჰიგიენური ამანათების გადაცემაში „საქართველოს წითელი ჯვრის“ მოხალისეებიც არიან ჩართულები.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

სამთაწყაროს სკოლის რეაბილიტაცია მოხდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ვიცე-პრემიერთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი შიოლაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში საჯარო სკოლების, ინოვაციური ცენტრის მშენებლობის პროცესი დაათვალიერა და ბოდბის დედათა მონასტერი მოინახულა.

მიხეილ ჩხენკელი: „დღეს მოვინახულეთ კახეთის რეგიონში საჯარო სკოლებისა და ინოვაციური ცენტრის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები. ეს პროექტები განათლების სამინისტროს, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობით ხორციელდება. მადლობას ვუხდი ყველა ჩართულ მხარეს მომავალ თაობებზე ზრუნვისთვის.

მოხარული ვარ, რომ რეგიონში მცხოვრები მოსწავლეები კეთილმოწყობილ, ადაპტირებულ, თანამედროვე სტანდარტების სკოლებში გააგრძელებენ სწავლას. ინოვაციების ცენტრი კი ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, გაიღრმავონ ცოდნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში. მსგავსი პროექტები მთელი საქართველოს მასშტაბით მომავალშიც გაგრძელდება, ვინაიდან ახალგაზრდებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების სტრატეგიული პრიორიტეტია“.

მაია ცქიტიშვილი: „სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ძალიან აქტიურად მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაშიც მუნიციპალური განვითარების ფონდი და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჩართულია 2019 წლიდან. ამჟამად დაახლოებით 220 მილიონი ლარის ღირებულების ახალი სკოლების მშენებლობა და არსებული სკოლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კახეთში ამ ეტაპზე 7 ახალი სკოლა შენდება. ერთ-ერთი გახლავთ სოფელ ბოდბის 90 ბავშვზე გათვლილი სკოლა. დანგრეული სკოლის გამო ბავშვებს მეზობელ სოფლებში სიარული უწევდათ, ახალი სკოლის გახსნის შემდეგ კი მათ საშუალება ექნებათ, თავიანთ სოფელში მიიღონ განათლება.

მნიშვნელოვანია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენ ყველა მუნიციპალიტეტში გვაქვს დაგეგმილი 59 ახალი სკოლის მშენებლობა და 85 სკოლის რეაბილიტაცია. უნდა აღვნიშნო, რომ დაახლოებით 20 სკოლის დასრულებას სექტემბერში ვგეგმავთ. წლის ბოლომდე კი 4170 ბავშვზე გათვლილი სკოლების მშენებლობა იქნება დასრულებული.

ბუნებრივია, ახალი სასკოლო ინფრასტრუქტურა არის განათლების რეფორმის განუყოფელი ნაწილი, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს. ასევე, ახალგაზრდებისთვის შენდება ტექნოლოგიური პარკები და ინოვაციური ცენტრები. ასეთი ახალი სივრცე ეწყობა გურჯაანში, რომლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება“.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის მშენებლობა 2020 წლის ოქტომბერში დასრულდება. იგი 90 მოსწავლეზეა გათვლილი და სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. შენობა ადაპტირებულია და მასში კეთილმოწყობილ საკლასო ოთახებთან, კაბინეტებთან და ლაბორატორიასთან ერთად განთავსდება ბიბლიოთეკა, ბუფეტი და ექიმის კაბინეტი. ასევე, მოეწყობა სარეკრეაციო სივრცე სკოლის ტერიტორიაზე. სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1 809 968 ლარს შეადგენს.

მიხეილ ჩხენკელმა და მაია ცქიტიშვილმა ასევე მოინახულეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს სკოლის მშენებლობის პროცესი. ახალი შენობა 90 მოსწავლეზე არის გათვლილი და ასევე სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. მათ შორის, ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებისთვის. სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 1 682 000 ლარს შეადგენს. სკოლის მშენებლობა 2021 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

ქალაქ გურჯაანში რეგიონული ინოვაციების ცენტრის მშენებლობა ივლისის ბოლომდე დასრულდება. ცენტრის ორსართულიან შენობაში განთავსდება სამუშაო და სასწავლო ოთახები და საკონფერენციო სივრცე. ასევე, სხვადასხვა აქტივობისთვის მოეწყობა ღია ტერასა. კეთილმოეწყობა და შემოიღობება ცენტრის ტერიტორია და შეიქმნება პარკირების სივრცე. ინოვაციების ცენტრი ადაპტირებულია და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკი 2 400 000 ლარით აფინანსებს.

აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით დაიწყო 59 ახალი სკოლის მშენებლობა და 100-მდე სკოლის პროექტირება-მშენებლობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, 2019 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ 640 სკოლაში განხორციელდა მცირე სარემონტო სამუშაოები.

გაუდაბნოების საფრთხის წინაშე

17 ივნისს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მსოფლიო დღეა აღინიშნა. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, „ეკოლიდერთა სკოლის” მონაწილეებისთვის ონლაინ სემინარი ჩატარდა. სემინარს 30-მდე ეკოლიდერთა სკოლის მონაწილე ესწრებოდა. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორმა, თამარ ალადაშვილმა მიწის დეგრადაციის პრობლემებზე, მასთან ბრძოლის ღონისძიებებზე, საქართველოში ჩატარებულ და დაგეგმილ აქტივობებზე ისაუბრა და ყურადღება გაუდაბნოების საკითხის შესახებ, როგორც მოწყვლადი რეგიონების მოსახლეობის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე გაამახვილა. სემინარს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი სოფიკო ახობაძე უძღვებოდა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის კუთხით დედოფლისწყაროს, ახმეტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე. ონლაინ სემინარში ასევე სამინისტროს მიწის რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელი ნინო ჩიქოვანი მონაწილეობდა, რომელიც წარმოადგენს გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ეროვნულ პასუხისმგებელ პირს საქართველოში. მან ისაუბრა საერთაშორისო პროცესებზე მიწის დეგრადაციის მიმართულებით და საქართველოს როლზე საერთაშორისო გლობალურ გამოწვევებში. “ეკოლიდერთა სკოლა” გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამაა, რომლის მიზანს ახალგაზრდა თაობისათვის გარემოსდაცვითი საკითხების სწავლება და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

პანდემიის გავლენა მწერლობაზე

პანდემიამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა საზოგადოება. მწერლები, რომელთათვისაც განმარტოებაში ყოფნა ზოგჯერ ფუფუნებასთან ასოცირდებოდა,ყოველდღიურობით გადატვირთული გრაფიკის გამო, ახლა იძულებით იზოლაციაში აღმოჩნდნენ. დროებით შეჩერდა ლიტერატურული ალმანახების გამოცემაც და ყველაფერმა ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. როგორია მწერლების ყოფა პანდემიის პირობებში? -ამას ჩვენი რესპოდენტებისგან შეიტყობთ.

გიორგი, როგორი გავლენა მოახდინა პანდემიამ ხელოვან ადამიანებზე?

გიორგი ნატროშვილი:

ზოგადად პანდემიადა ნებისმიერი კრიზისული სიტუაციასტრესულია და შესაბამისად უსიამოვნო მოვლენაა. თუმცა მედალს ორი მხარე აქვს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ერთგვარი

იზოლაცია და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა შემოქმედმა შეიძლება ფრიად სასარგებლოდაც გამოიყენოს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის სასარგებლოა, ასეთ დროს საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს, გამოიკვლიოს და თუ შესძლო მარადიულ ღირებულებებზე და ჭეშმარიტების მოძიებაზეც დაფიქრდეს, თუ აქამდე ვერ(ან არ) ახერხებდა.

როგორ გაატარეთ ახალი კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა?

რაც შეეხება მეორე კითხვას, მასზე პასუხი ერთგვარად პირველის გაგრძელებაა, რადგან მე ისედაც ბევრი უნდა ვიკითხო (რედაქტორობაც ამას ითვალისწინებს), გავაანალიზო და ვწერო, ანუ იმის თქმა მინდა, რომ თითქმის ჩვეულ რეჟიმში ვმუშაობდი, ერთი ის იყო, რომ გადაადგილების და შეკრების შეუძლებლობა, რიგ საქმეებს აფერხებდა და გარკვეულ დისკომფორტს გვიქმნიდა.სწორედ ამის გამო ვერ მოვახერხეთ ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მე-8 ნომრის საზოგადოებისთვის წარდგენა. ამჯერად მე-9 ნომერიც მზადაა გამოსაცემად და, სავარაუდოდ, თუ ამის შესაძლებლობა მოგვეცა, ორივე ნომრის წარდგენას ერთად მოვაწყობთ. აქვე შეგახსენებთ, რომ 2020 წელი ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯისთვის“ ერთგვარად საიუბილეოა, ის ხუთი წლის ხდება. ალმანახი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით 2015 წელს დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში მოაზროვნე და ლიტერატურის მოყვარე საზოგადოებაში საკმაო სიყვარული და ავტორიტეტიც მოიპოვა.

დათო ტურაშვილი:

მწერლისთვის, ალბათ, ყველაზე ადვილია იზოლაციაში ყოფნა, რადგან მათი დიდი ნაწილი ისედაც იზოლაციაშია და ზოგიერთი მათგანი კი მთელი ცხოვრება ისე მარტოა, რომ მართლა მოწყვეტილია დანარჩენ სამყაროს და საკუთარს თვითონ ქმნის, სადაც ისე ცხოვრობს და არსებობს, როგორც თავისუფალი შემოქმედი.

თუმცა მე, როგორც ადამიანს (და არა როგორც მწერალს), რომელსაც ცოცხალი და ნამდვილი ურთიერთობები უყვარს, რასაკვირველია, ცოტა მიჭირს კომპიუტერის ეკრანზე ჭიქის მიჭახუნება და ინტერნეტსუფრის წევრობა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ეს ყველაფერი დროებითია და ადრე თუ გვიან აუცილებლად დასრულდება.

უფრო კონკრეტულად კი, ადრე დასრულდება თუ გვიან ეს იზოლაცია, ჩვენზეც არის დამოკიდებული და თუ გვინდა, რომ ადრე დასრულდეს, მაშინ დროებით შეზღუდვებსაც დროულად უნდა შევეგუოთ.

ყველაზე მეტად რას ვერ ეგუებით და რა აღმოჩნდა თქვენთვის სასიკეთო?

სამწუხაროდ, ვერ ვეგუები ინტერნეტლექციებს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან (ერთი შეხედვით) კომფორტულიც კი ჩანდა - ზიხარ სახლში და ონლაინ ეკონტაქტები მსმენელებს, სტუდენტებსა თუ მკითხველებს.

რაც დრო გადის, უფრო ხშირად მახსენდება ბიორკის კონცერტი თბილისში, რომელსაც პირადად ვესწრებოდი. როგორც კი ბიორკმა სიმღერა დაიწყო, მთელმა ფილარმონიამ ტელეფონი ამოიღო და ყველამ მაშინვე დაიწყო გადაღება. ალბათ, ერთადერთი ვიყავი იმ დარბაზში, ვინც მას უსმენდა, რადგან, რომც მომენდომებინა, ჩემი ფანრიანი ნოკიით მაინც ვერ გადავიღებდი.

და უცებ ბიორკმა აუდიტორიას მოგვმართა და გვთხოვა, არ გადაგვეღო - ცოცხალი მუსიკის კონცერტზე ხართ და მე თქვენი თვალების დანახვაც მჭირდება, თქვენთან კონტაქტი რომ დავამყარო და ასე ხომ საერთოდ ვერ გხედავთ და მინდა, ჩვენ შორის ახლა მხოლოდ მუსიკა არსებობდესო.

როგორ ფიქრობთ, რა გამოძახილს ჰპოვებს ეს პანდემია მსოფლიო და ქართულ ლიტერატურაში?

სხვების არ ვიცი და კარანტინში ყოფნისას დავიწყე ფიქრი წიგნზე, რომელსაც შეიძლება პირდაპირ ასე ერქვას კიდეც - „კარანტინი“.

ტერენტი გრანელის უცნაური სიყვარული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, თამარ პაიჭაძე საუბრობს ტერენტი გრანელის უცნაური სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ:

- ეს ამბავი მის წინააღმდეგობრივ, ემოციურ, ფრთხილ, სათუთ და ამასთანავე, პრინციპულ სულიერ სამყაროს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. პოეტის უახლოესი მეგობარი, გენო ქელბაქიანი, ტერენტის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას დაუმეგობრდა. მისი მოგონების მიხედვით, ტერენტი გრანელს თავისი შემოქმედებითი

სრულყოფილების ზენიტში ყოფნისას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო ახალგაზრდებში და უამრავ წერილს იღებდა. ერთ-ერთი, კიევიდან ახალგაზრდა ქალმა გამოუგზავნა. ეს იყო თამარ ჯაფარიძე - იმ დროისათვის კიევში საცხოვრებლად წასული ოფიცრის მეუღლე. წერილის მიხედვით, გრანელის ლექსების კითხვა მისთვის ყოველდღიურ სულიერ საზრდოდ ქცეულიყო. ამბობდა, რომ თბილისში ყოფნისას საიდუმლოდ უყვარდა პოეტი და ბევრი მისი ლექსი ზეპირად იცოდა. ტერენტი ამ წერილით გაოცებული და აღფრთოვანებული დარჩა.

მისი მეგობარი წერს, - **„რადგან ის ამ ქალს არ იცნობდა, საკითხს ფრთხილად ეკიდებოდა, თუმცა საპასუხო წერილი მისწერა და ამის შემდეგ მათი მიმოწერა რეგულარული გახდა. მეგობრები ამჩნევდნენ, რომ პოეტი სხვაგვარი გახდა, სიხარულისა და ბედნიერებისაგან ცაში დაფრინავდა. საერთოდ, ძალიან დაუდევარი, მოუვლელი იყო, ზოგჯერ ზამთარში თეთრი ტილოს ტანსაცმელი ეცვა; იმ პერიოდში კი ამ მხრივაც გამოიცვალა - ყოველთვის სევდიანსა და მისტიკურს, თვალებშიც სიხარულის სხივი ჩაუდგა. გარშემო მყოფებისთვის საგრძნობი იყო, რომ მის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილება მოხდა. პოეტმა ერთადერთს - გენო ქელბაქიანს გაანდო თავისი საიდუმლო. სწორედ ამ პერიოდში დაწერა ლექსი „შენს მოლოდინში“... ერთ-ერთ წერილთან ერთად, თამარმა ტერენტის საკუთარი ფოტოსურათი გამოუგზავნა. ტერენტიმ ის გენო ქელბაქიანს უჩვენა, რომლის თქმითაც, ქალი იმდენად მომხიბვლელი იყო და ისეთი მშვენიერი თვალები ჰქონდა, რომ თავადაც მოინუსხა. ერთხელაც, ტერენტიმ თამარისგან მიიღო წერილი, რომელშიც თავისი გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებდა.**

თამარმა ოჯახის მიტოვება და ტერენტისთან თბილისში წამოსვლა გადაწყვიტა. პოეტი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს, ადგილს ვერ პოულობდა... დათქმულ დღეს სადგურზე მისულმა გენომ და ტერენტიმ ხალხისგან დაცლილ ვაგონში მარტოდ დარჩენილი ქალბატონი დაინახეს, გვერდით უზარმაზარი ჩემოდნით. როცა გენოს ტერენტისთვის შეუხედავს, სახეზე ფერი არ ედო თურმე პოეტს... მეგობრები ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ქალს. თამარმა პოეტს ხელი გაუწოდა და მიესალმა, ტერენტიმაც მიუგო: "გამარჯობა". მერე გენოს მიუბრუნდა და უთხრა: "ჩვენ წავედით, გვეჩქარება!" - და ადგილიდან მოწყდა. გენო ქელბაქიანი იხსენებს:

„მე არ მინახავს უფრო ნატანჯი სახე, უფრო მწუხარე თვალები, მეც ცრემლი მომერია. ქალი ჩემოდანზე ჩამოჯდა და ცრემლი ვეღარ შეიკავა, ამოიკვნესა და, უნდა ითქვას, მეც ისევე მეტკინა გული, როგორც მას. ძალიან მომეწონა ეს ქალი იმ წუთებში! ნეტა მე მყვარებოდა, ნეტა, მე ვყვარებოდი."

დაბნეულმა და შეწუხებულმა გენომ ატირებული ქალი ეტლამდე მიაცილა, იქიდან მობრუნებულმა კი მეგობარს დაუწყო ძებნა. მოგვიანებით, ქანდაკებასავით თეთრი და მგლოვიარე პოეტი ფიროსმანის ქუჩის კუთხეში, ბოძზე მიყრდნობილი და ჩუმად მობუტბუტე ნახა... პოეტი თითქოს ცოცხლებში აღარ ეწერა... მეგობრის საყვედურის შემდეგ ესღა თქვა:

„ვაიმე, რამხელა ჩემოდანი ჰქონდა... სად იყო ის ქალი, მე რომ მიყვარდა?! რატომ მწერდა ასეთ ნაზ წერილებს? რად მივწერე მე წერილები? რად დავწერე ლექსი? რად მოვტყუვდი? ახ, რად მემტერება ჩემი მუხთალი ბედი!"

ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ ქალი ან ულამაზო, ან ასაკოვანი იყო. უბრალოდ, ტერენტის ის სხვაგვარი წარმოედგინა, მისი პოეტური წარმოსახვა არ დაემთხვა რეალობას... ეს ქალბატონი კიევში აღარ დაბრუნებულა, საცხოვრებლად თბილისში დარჩა. ტერენტი სადილად ერთ ქალბატონთან დადიოდა, რომელიც ვერის საფლაოსთან ახლოს ცხოვრობდა. ერთხელ, ამ ქალის სახლის ფანჯრიდან თამარ ჯაფარიძე დაუნახავს, ფეხზე წამოიჭრა თურმე და სხვა ფანჯრიდან მეორე მხარეს გადახტა. მთელი ცხოვრება თავს არიდებდა თამართან შეხვედრას და არც არასოდეს ახსენებდა. მხოლოდ ამ სტრიქონით "გამოიტირა":

„და სევდა მიჰერობს ისევ და ისევ,
დაბნელდა ჩემი ოცნების მზარე.
არეოფნის ღამეე, შენ დამიფარე,
არეოფნის ღამეე, შენ დამიფარე.“

როგორ ჩატარდება ეროვნული გამოცდები?

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თარიღი უკვე ცნობილია. წელს მისაღები გამოცდები 19 დღის განმავლობაში გაგრძელდება – 6 ივლიდან 25 ივლისამდე. კორონავირუსის პანდემიის გამო აბიტურიენტებსა და საგამოცდო ცენტრებს ვირუსის პრევენციისათვის საჭირო რეკომენდაციების დაცვა მოუწევთ. შესაბამისად, წლევანდელი საგამოცდო გარემო წინა წლებისაგან განსხვავებული იქნება. 55 ათასზე მეტი აბიტურიენტისთვის 24 საგამოცდო ცენტრია გამოყოფილი, თუმცა გაიზრდება როგორც საგამოცდო სესიების, ისე საგამოცდო დღეების რაოდენობა.



როგორ უნდა მოხვდეთ საგამოცდო ცენტრში

მანამ, სანამ საგამოცდო ცენტრში მოხვდებით, როგორც აბიტურიენტმა, ისე დამკვირვებლებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა თერმოსკრინინგი უნდა გაიაროთ, ანუ ტემპერატურა გაიზომოთ.

რეკომენდაციის თანახმად, თუ გამოცდის წინა დღეებში მაღალი ტემპერატურა გაქვთ, მაშინ PCR ტესტი უნდა ჩაიტაროთ, რომელიც აბიტურიენტებისთვის უფასოა. თუ პასუხი უარყოფითი იქნება, ამის დამადასტურებელი ცნობა გამოცდებისას თან უნდა იქონიოთ.

არიან ადამიანები, რომლებიც 37°C-დან 37.4°C-მდე ტემპერატურას "ატარებენ", ანუ ეს მათთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა. ამ შემთხვევაში, ასევე, თუ გაქვთ რამე ქრონიკული დაავადება, დაგჭირდებათ ოჯახის ექიმის ან შესაბამისი ექიმ-სპეციალისტის ცნობა (ფორმა №100), რომელიც გამოცდაზე უნდა მიიტანოთ.

იმ შემთხვევაში, თუ გამოცდაზე შესვლამდე თერმოსკრინინგის გავლისას მხოლოდ 37°C ან მეტი ტემპერატურა გექნებათ და არა სხვა სიმპტომები, 15 წუთში სიცხეს ვერცხლისწყლიანი თერმომეტრით ხელახლა გაგიზომავენ. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ამირან გამყრელიძემ განმარტა, ვერცხლისწყლის თერმომეტრი უფრო ზუსტია, ვიდრე დისტანციური. მისივე თქმით, გამოცდა გარკვეული ემოციური სტრესია და შესაძელებელია, ტემპერატურის მატება ამანაც გამოიწვიოს.

თუ გადამოწმების შემდეგ ტემპერატურა კვლავ 37°C-მდე (37,4°C-ის ჩათვლით) გექნებათ, მაშინ არაუმეტეს 2-3 დღით ადრე ჩატარებული ჯჩღ ტესტის პასუხი უნდა წარმოადგინოთ, რომელიც ადასტურებს, რომ კორონავირუსით ინფიცირებული არ ხართ. თუ აღნიშნული პასუხი თან გექნებათ, გამოცდის დასაწერად ჩვეულებრივ დარბაზში, სხვა გამოსაცდელებთან ერთად დაგიშვებენ. თქვენი შემთხვევა კი აღინიშნება შენიშვნით, რომელსაც მომდევნო გამოცდაზე უნდა მიექცეს ყურადღება.

თუ თუ გამოცდამდე არაუმეტეს 2-3 დღით ადრე PCR ტესტი ჩატარებული არ გაქვთ, საგამოცდო ოთახში დაშვების საკითხს ადგილზე მყოფი ექიმი გადაწყვეტს, რომელიც თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას შეაფასებს. ასეთ შემთხვევაში:

თუ სიცხის გარდა არ გექნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი არც ერთი სიმპტომი (ხველა, ცემინება, სურდო, ქოშინი), სხვებთან ერთად საერთო საგამოცდო სექტორში შეხვალთ;

იმ შემთხვევაში თუ 37°C-დან 37,4°C-მდე ტემპერატურასთან ერთად რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომი გექნებათ, მაშინ ცალკე სარეზერვო ოთახში შეგიყვანენ, სადაც გამოცდას დამცავი ფარის მქონე მაგიდასთან დაწერთ. თქვენი მაგიდა ორმეტრიანი რადიუსის დაცვით იქნება დაშორებული ამავე ოთახში არსებულ სხვა მაგიდებთან. რეკომენდებულია, რომ PCR ტესტი მომდევნო გამოცდამდე ჩაიტაროთ;

თუ ტემპერატურა 37,5°C გექნებათ (რესპირატორული სიმპტომების არარსებობის შემთხვევაშიც), მაინც ცალკე სარეზერვო ოთახში შეხვალთ, სადაც დამცავი ფარის მქონე მაგიდასთან და ამავე ოთახის სხვა მაგიდებთან ორმეტრიანი რადიუსის დისტანციით განთავსდებით. ამ შემთხვევაშიც, რეკომენდებულია, რომ მომდევნო გამოცდამდე PCR-ტესტი გაიკეთოთ.

რაც შეეხება 37,5°C-ზე მაღალ ტემპერატურას, თუ ასეთ შემთხვევაში თან გექნებათ 2-3 დღით ადრე ჩატარებული PCR ტესტის უარყოფითი პასუხი, მაშინ თქვენს მდგომარეობას ექიმი შეაფასებს. სხვა სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში, მაღალი ტემპერატურის მიუხედავადავადაც შეხვალთ ჩვეულებრივ საგამოცდო ოთახში. თუ სხვა სიმპტომები გექნებათ, მაგრამ 2-3 დღით ადრე ჩატარებული გაქვთ PCR ტესტირება და პასუხის უარყოფითია, მდგომარეობას ექიმი შეაფასებს და სარეზერვო ოთახში, დამცავი ფარის მქონე მაგიდასთან გაგიშვებთ. რეკომენდაციის თანახმად, კონსულტაციის მიზნით, მომდევნო გამოცდამდე ოჯახის ექიმს უნდა მიმართოთ.

რა შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან

თუ 37,5°C-ზე მაღალი ტემპერატურა დაგიფიქსირდებათ და თან არ გექნებათ 2-3 დღით ადრე ჩატარებული ჯჩღ ტესტირების დასკვნა უარყოფითი შედეგით, გამოცდიდან მოიხსნებით. ასეთ დროს, რეკომენდაციის თანახმად, უნდა მიმართოთ ექიმს და ან დარეკოთ 112-ზე.

რა უნდა წაიღოთ გამოცდაზე

პირბადის გარეშე გამოცდებზე არ დაიშვებით – შეგიძლიათ სასურველი პირბადე მიიტანოთ, თუმცა ადგილზეც დაგახვედრებენ. ის აუცილებლად უნდა გეკეთოთ როგორც გამოცდებზე რეგისტრაციის დროს, ასევე გამოცდების მიმდინარეობისას.

როგორც წინა წლებში, ამჯერადაც აუცილებელია გქონდეთ პირადობის მოწმობა და საგამოცდო ბარათი. გარდა ამისა, წელს პირველად, ეროვნული გამოცდები შეიძლება დაწეროთ თქვენივე კალმით – გელიანი (ე. წ.ტუშის), შავი ფერის, 0,5-0,7 მმ.,ბურთულიანი წვერით. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, პაატა იმნაძე ამბობს, გამოცდაზე კალამს ისედაც დაგახვედრებენ, თუმცა სასურველია, რომ თავად მიიტანოთ, რათა ნივთების უცხო პირებისთვის გაზიარება არ მოხდეს.

სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ, თან იქონიოთ წყალი პლასტმასის ბოთლით. სხვა პირადი ნივთების გამოცდაზე შეტანა არ არის რეკომენდებული, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ნივთებიდან დაავადების გადატანის/გავრცელების რისკი. იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულოს გარდა, სხვა ნივთები გექნებათ, მათი შენახვისათვის განკუთვნილ ადგილას დატოვება მოგიწევთ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მოგიწოდებთ, რომ გაითვალისწინოთ რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან.

როგორი იქნება საგამოცდო სივრცე

თითო სექტორში 10 გამოსაცდელი აბიტურიენტი იქნება, ასევე, თითოეულ მერხს გამჭვირვალე ფარი ექნება დამონტაჟებული. ყველა ოთახი ერთნაირად იქნება აღჭურვილი – სარეზერვო და ჩვეულებრივ სივრცეებს შორის განსხვავება იქ გადანაწილების პრინციპია, რომელიც დამოკიდებულია აბიტურიენტების ტემპერატურაზე, სხვა სიმპტომებსა თუ PCR ტესტის პასუხის არსებობაზე.

რეკომენდაციის თანახმად, თითოეულ სექტორში მერხებს შორის სიგანეში დაშორება ორ მეტრზე მეტი უნდა იყოს, ხოლო მიმდევრობით განლაგებულ მერხებს შორის დაშორება ერთ მეტრზე მეტი იქნება.

რაც შეეხება კონდიცირებას, საგამოცდო სივრცეებს კონდიციონერით მხოლოდ სესიის დაწყებამდე და გამოცდებს შორის პერიოდში გააგრილებენ. მას დარბაზში აბიტურიენტების შესვლის წინ გამორთავენ. სესიებს შორის პერიოდში ადგილზე სპეციალური სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდება

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ვებინარი მოსწავლეების მონაწილეობით

ქ.დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგმა ეკა სეფიაშვილმა, მე-4 კლასის მოსწავლეებთან დისტანციური სწავლების ფარგლებში, განახორციელა სოციალური პროექტი „ბიომრავალფეროვნება - ვაშლოვანის ეროვნული პარკი".

როგორც პედაგოგმა აღნიშნა, პროექტზე მუშაობის ძირითადი მიზანი მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა იყო. ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამომუშავების, დამოუკიდებლად მუშაობის - უცხო ენაზე მასალის მოძიების, დახარისხების, ონლაინ ლექსიკონში მუშაობის, მოსმენის და საუბრის - უნარ-ჩვევების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში.

მოსწავლეებმა უამრავი ინფორმაცია მოიძიეს ვაშლოვანის ნაკრძალზე და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობაც გააცნობიერეს.

„სოციალურ პროექტზე მუშაობა გულისხმობს სკოლის გარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში. ამიტომ დისტანციურ შეხვედრაზე მოვიწვიეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი, ქალბატონი ნინო სეთურიძე. ვებინარი საინტერესო და შედეგიანი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის" -აცხადებს ეკა სეფიაშვილი.

ჯანსაღი ურთიერთობა ჯანსაღ ადამიანებს შეუძლიათ...

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებით, გვაქვს განსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა ფაქტებისა თუ მოვლენების მიმართ. შესაბამისად, სხვა ადამიანთან კომუნიკაციისას ხშირად ვაწყდებით აზრთა შეუთავსებლობას. ურთიერთობა ზოგჯერ გაღიზიანებაში გადადის და დისკომფორტი გვექმნება. სხვადასხვაგვარი ურთიერთობა შეიძლება ჩამოგვიყალიბდეს ნებისმიერ ადამიანთან, განსაკუთრებით ჩვენთვის საყვარელ პიროვნებებთან... როგორ, რა ფორმით დავამყაროთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომ კონტაქტი სასიამოვნო იყოს? ადამიანთა ურთიერთობების შესახებ ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე საუბრობს:

„სანამ გარე სამყაროსა და სხვა ადამიანებზე გადავიდოდეთ, პირველ რიგში, ალბათ, ჯობს აღვიქვათ, საკუთარ შინაგან სამყაროსთან რამდენად ვართ სრულ ჰარმონიაში. საკუთარი შინაგანი სისტემაც კი არ გვემორჩილება ყოველთვის და მუდამ. რამდენჯერ ყოფილა, გინდოდათ სხვებთან ერთად გემხიარულათ და არ გამოგყოლიათ თქვენივე ურჩი განწყობა, რამდენჯერ გინდოდათ თავაზიანი ყოფილიყავით და უხეშად მოქცეულხართ, რამდენჯერ, პირიქით, მკაცრი და გადამჭრელი პასუხი იყო თითქოს გასაცემი და ეს პასუხი მხოლოდ სახლში მისულს ჩამოგყალიბებიათ? რამდენჯერ ყოფილხართ უკმაყოფილო საკუთარი თავის გამო? მაშინ რა წვრილმანებს ვედავებით სხვა ადამიანებს, თუნდაც ძალიან ახლობლებს?

ადამიანები, ცხადია, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ბევრად მეტი აქვთ საერთო და მსგავსი. მაშინაც კი მეტი აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავებული, როცა სხვადასხვა რელიგიურ, რასობრივ, კულტუროლოგიურ სივრცეში არსებობენ. ალბათ, ძალიან ძირითად რამეს ვგულისხმობ, იმას, რაც ღმერთმა, ბუნებამ ადამიანებს, როგორც სახეობას, ერთნაირად გვიბოძა. ცხადია, ქრისტიანული ცივილიზაციის სივრცეში სხვაგვარი დამოკიდებულებები გაჩნდა ფასეულობებისა და სიკვდილ-სიცოხლის ფილოსოფიის მხრივაც და სხვა რელიგიურ სივრცეში აღზრდილ ადამიანებს სხვაგვარი ხედვა და დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ, მაგრამ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ყოველთვის არის საერთო. ადამიანებს ერთნაირად სტკივათ, სცივათ, აქვთ ცოდნა სიკეთესა და ბოროტებაზე, მორალსა და უღირსობაზე. უმეტეს შემთხვევაში, ერთნაირი ჟესტიკულაციითა და მიმიკით მეტყველებს ნებისმიერი ეროვნებისა და რჯულის ადამიანის სახე და სხეული... ვერ ვიტყოდი, რომ უცხოტომელშიც კი არ შეგვიძლია რაღაც დოზით საკუთარი თავის პოვნა და აღმოჩენა და მით უმეტეს, საკუთარ სოციუმში არ უნდა იყოს ეს ძალიან ძნელი.

რა თქმა უნდა, ბევრად მარტივია ცხოველთან ურთიერთობა, დავუშვათ ძაღლთან, რომელსაც ვაჭმევთ, ვეფერებით და მას ვუყვარვართ, — გაცემისა და მიღების ყოველგვარი ლოგიკური ნორმა დაცულია. საფრთხეც რომ იყოს მოსალოდნელი ცხოველისგან, ეს საფრთხეც წინასწარ ცნობილია, გასაგებია, თავისი მარტივი ლოგიკა აქვს. ადამიანი კი სულ სხვაა, პლანეტის ყველაზე სრულყოფილად მოაზროვნე ბინადარი სწორედ მისი განვითარებულობის გამო არის მრავალწახნაგოვანი, რთული, გაუთვალისწინებელიც ერთგვარად — შეიძლება თან ვყვებოდეთ, სიკეთის მეტი არაფერი გავუკეთოთ და ვძულდეთ, თქვენს მეტი რომ დამხმარე არავინ ჰყავდეს, იმაზეც შეუძლია გაბრაზდეს, რომ დახმარების უნარი გაქვთ, ან პირიქით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ვუყვარდეთ და იყოს ჩვენი ქომაგი. მიუხედავად ამისა, სწორედ ამიტომ ადამიანთან ურთიერთობა ყველაზე საინტერესო და მომხიბლავი რამაა, ისევე, როგორც რთული ტექნოლოგია შესაძლოა იოლად გახდეს საფრთხის შემცველი ჩვენთვისვე, მაგრამ მაინც გვიზიდავს იმ შესაძლებლობების გამო, რაც მას გააჩნია.“

ძირითადად როგორ ადამიანებს და რატომ უჭირთ სხვა ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება?

სწორი კომუნიკაციისა და ურთიერთობის უნარის შეძენა სრულფასოვანი, ადეკვატური ადამიანისთვის დაუძლეველი სირთულე არაა. მთავარი, ალბათ, იმ ძირითადი მოთხოვნების სწორ პრიორიტეტებად დახარისხებაა, რასაც საზოგადოებას, ან კონკრეტულ პირს ვუყენებთ საიმისოდ, რომ შეგვეწყოს და შევეწყოთ.

პრობლემა ჩნდება ჩვენი წინასწარი დაყენებების დროს, რომელიც მარტივად გამოიხატება სიტყვებით — “ასე უნდა” ან “ასე არ უნდა”. მაგალითად ის, რომ ადამიანი კაციჭამია არ უნდა იყოს, ამ საკითხში საზოგადოებისგან ან კონკრეტული პიროვნებისგან თანხმობა, პრაქტიკულად, გარანტირებულია, მაგრამ თუკი ჩვენი აზროვნების წყობა ელემენტარულ ყოფით ურთიერთობებსა და საკითხებშიც “უნდა-არ უნდას” წინასწარი დაყენების პრინციპზეა განმტკიცებული, აქ უკვე აუცილებლად შეგვექმნება პრობლემები. ამიტომ ჯობს კარგად დავიმახსოვროთ, რომ ამქვეყნად არაფერი და არავინ არ “უნდა” იყოს ისე, როგორც ჩვენ მოგვწონს, არამედ ყველაფერი ურთიერთპატივისცემაზე, დათმობასა და კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამას თუ გავიაზრებთ, ნაკლებს ვიბრაზებთ და უფრო ხშირად ვიქნებით სხვისი მადლიერი.

ჯანსაღი ურთიერთობა ჯანსაღ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც ადეკვატური რეაქცია აქვთ სიკეთესა და სიყვარულზე და გააჩნიათ კარგად განვითარებული ეგო (“მე”).

სწორად განვითარებულმა პიროვნებამ იცის, რამდენი მოითხოვოს სხვისგან, რა მოლოდინი წაუყენოს ახლობელს და გარეშე პირს, რა გასცეს და რა მიიღოს. შესაბამისად, ის არასდროს არ არის წვრილმანების გამო გულში დაჭრილი და ზედმეტად იმედგაცრუებული. სამყარო მთლიანად და იოლად ემსხვრევა მას, ვისი “მე” არ განვითარდა, ვერ ადაპტირდა, ვერ გადაიბარა პასუხისმგებლობა და საკმარისად ვერ შეიძინა “თვითკმარობა”, ვინც ფსიქოლოგიურად ვერ დააღწია თავი ბავშვობის ასაკს, როცა მის ცნობიერებაში სამყარო მარტივი და მთლიანი იყო, ან სამწუხარო რეალობის გამო, “სამყარო” ბავშვობაშივე დაიმსხვრა და “აწყობა” ვეღარ მოახერხა. განსხვავებული შეხედულებები ორ ადამიანს შორის მხოლოდ მაშინაა დაუძლეველი დაბრკოლება, როცა ეს ძირითად, ფუნდამენტურ ღირებულებებსა და ფასეულობებს ეხება და კონტრასტშია ჩვენს ყველაზე მთავარ რწმენებთან. სხვა დანარჩენ შემთხვევაში უნდა გვესმოდეს, რომ როგორც სარკეში იმეორებს ჩვენი ანარეკლი ჩვენს მოძრაობებს, ასეთ სინქრონულ თანხვედრას სხვა ადამიანისგან ვერასდროს ვერ მივიღებთ და არცაა საჭირო. მცირე და ნაკლებად მცირე განსხვავებებსაც ბრაზით კი არა, ინტერესითა და მეტი სიმპათიით უნდა ვუყუროთ. საბედნიეროდ, ღმერთმა ცხოველებისგან განსხვავებით ერთ-ერთი საუკეთესო უნარი — იუმორის გრძნობაც მოგვცა, რომელიც უამრავი გამაღიზიანებელი ფაქტორის დადებითად გადამუშავებაში გვეხმარება. მეტად უნდა ავამუშაოთ თავდაცვის ეს იარაღი, იმისათვის, რომ ჩვენც გადავრჩეთ და სხვაც გადავარჩინოთ ჩვენს რისხვას სრულიად უბრალო წვრილმანებზე. ბოლოს და ბოლოს, მივიღებთ სხვებს ისეთებს, როგორიც არიან, თუ არ მივიღებთ და გავღიზიანდებით, სამყაროსადმი ჩვენი დამოკიდებულებებისა და აღქმის არჩევანია.

თქვენი აზრით, თანამედროვე ადამიანები რამდენად ახერხებენ პიროვნებებთან ურთიერთობის დამყარებას და რამდენად მნიშვნელოვანია ხალხთან ურთიერთობა?

არაფერია ცის ქვეშ ახალი... თუ არ ჩავთვლით ინფორმაციისა და ცოდნის მეცნიერულ სიახლეებს. ადამიანები ურთიერთობდნენ და ურთიერთობენ, ომობდნენ და ომობენ, კლავდნენ და კლავენ, ამთელებდნენ, კურნავდნენ და ამთელებენ დღესაც, პრობლემებს თავად იგონებდნენ და ქმნიდნენ და თავადვე ჭრიდნენ და ასე გრძელდება კვლავაც, ასე იქნება მუდამ. ყველაფრის გაფორმება იცვლება მხოლოდ, როგორც კინოში ძველი ფილმი სხვა ტემპში, სხვა შეფერილობისაა, სხვა გამომსახველობითი ფორმა აქვს, თემატიკა კი მარადიულია და უცვლელი. დღეს ადამიანები ურთიერთობების დამყარებას, რა თქმა უნდა, ახერხებენ.

ხალხთან ურთიერთობა, ცხადია, მნიშვნელოვანია... ცხოველებიც კი ჯოგებად, ხროვებად და ოჯახებად ერთიანდებიან. თუმცა მარტოც შეიძლება იყოს ადამიანი, თუ ეს მისი არჩევანია და არც ესაა პრობლემა. თუკი პიროვნება თავის თავს ყოფნის, მაშინ მისი განმარტოება ტრაგედიად არ მიმაჩნია.

როგორი ურთიერთობა და დამოკიდებულება უნდა გვქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან?

იმისათვის, რომ ადამიანმა თავი სრულყოფილ პიროვნებად იგრძნოს ჩვენ გვერდით, უნდა ვიყოთ ჩვეულებრივები, როგორებიც ვართ. არც განსაკუთრებული გამომეტყველებითა და აცრემლებული თვალებით უნდა ვეურთიერთოთ და არც ხელოვნურად გათამაშებული გამამხნევებელი რიტორიკა შევიძინოთ. ისევ და ისევ, უნდა შევძლოთ ერთი წამით გავიაზროთ საკუთარი თავი მის მდგომარეობაში და ყველაფერი ბუნებრივად თავის ადგილზე დადგება. თუმცა ჩვეულებრივ ქცევაში ვგულისხმობ პიროვნულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას, თორემ ის, რომ ეტლში თუ ზის ადამიანი, მოსაკითხად ჩვენ უნდა დავიხაროთ, სწავლებას არ საჭიროებს.

არასოდეს არ დამავიწყდება ამერიკელი პროფესორის, დოქტორ გორდონის სიტყვები, რომელიც მეორადი ფსიქიკური დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობდა. ბავშვებს, რომლებსაც ხელი, ფეხი აკლდათ, თავის ტვინის სიმსივნის ამოკვეთის შედეგად ფსიქიკური აშლილობა განუვითარდათ და ა.შ., — თვალი რომ გადავავლე, დავითრგუნე-მეთქი, — ვუთხარი და მიპასუხა: “ეს ყველაფერი უმნიშვნელო დეტალებია, მალე ისწავლი მხოლოდ სულის დანახვას”.

არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანს, ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანს დახმარების ხელი ისე უნდა გავუწოდოთ, რომ ზედმეტი უხერხულობა არ შევუქმნათ და ისე არ გადავაჭარბოთ, რომ პირიქით, შევაწუხოთ და ვიმოქმედოთ მის ღირსებაზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სუფთა სახით ალტრუიზმი არ არსებობს და გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები ჩვენ უფრო გვეხმარებიან, რომ თავი ხანდახან მაინც ვიგრძნოთ კეთილ და კარგ პიროვნებებად და დამაკმაყოფილებელი თვითშეფასება შევიძინოთ. ასე რომ, სიკეთის კეთების შინაგან მექანიზმს კარგად თუ დავუკვირდებით, მადლობა ხშირად იქით გვაქვს სათქმელი.

როგორ შევძლოთ ადამიანებთან ურთიერთობის გაუმჯობესება და ხალხში პატივისცემის შენარჩუნება?

ადამიანებს შორის ურთიერთობა ინტერესთა თანხვედრაზე იგება, მაგრამ განსხვავებულობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებით ნარჩუნდება.ღრმა ურთიერთობა ინტერესთა და ქცევის ნორმათა ღრმა თანხვედრაზეა. არათუ ადამიანი, წიგნი, ფილმი, მუსიკა, მოვლენა მაშინ მიგვაჩნია საინტერესოდ, როცა ჩვენს ინტერესთა არჩევანს ემთხვევა და მეტი არაფერი. ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ ის, რაც ჩვენ არ გვაინტერესებს, ნაკლებ საინტერესო კი არაა, უბრალოდ ჩვენ არ გვაინტერესებს და ამდენად, ჩვენი და ჩვენი ინტერესთა სივიწროვის პრობლემა უფროა, ვიდრე ადამიანის, სხვა შინაარსის წიგნის, სხვა ჟანრის ფილმის, ან სხვა კატეგორიის მოვლენის.

თუ ადამიანების მიმართ პატივისცემით, თანაგრძნობითა და ინტერესით განვეწყობით, თუ იოლად ვაღიარებთ მათ კარგ თვისებებს და მიზანმიმართულად არ ვეცდებით უარყოფითის აღმოჩენასა და აქცენტირებას, თუ საკუთარი თავის სრულყოფას მეტ დროს მოვახმართ, ვიდრე სხვების კრიტიკას, აუცილებლად მივიღებთ უკან იმდენ სამაგიეროს, რაც ჩვენ ამქვეყნად სიამოვნებით არსებობისთვის გვეყოფა.

ერთი სიტყვით, ხსნა სიყვარულშია, რაც თუმცა ასე მარტივად ჟღერს, სინამდვილეში ყველაზე რთულია, რადგან სიყვარული ნიჭია, ნიჭი ლიმიტირებულია და მაინც, თუ შევეცდებით და გვეყვარება ადამიანი თავისი არსით, წვრილმანებს აღარ მიენიჭება იმდენი მნიშვნელობა, რომ მთელი ურთიერთობა გააფუჭოს და გარესამყაროს რწმენაც კი დააზიანოს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ადამიანის დაგესვლის ორი შემთხვევა დედოფლისწყაროში

ქვეწარმავლების უჩვეულო მომრავლება შეინიშნება დედოფლისწყაროში. ადგილობრივები სხვადასხვა სახეობის გველებს დასახლებულ პუნქტებში ყოველდღიურად პოულობენ. ქვეწარმავლები მომრავლდა ქალაქის ცენტრსა და აგრარული ბაზრის მიმდებარედ, ხალხმრავალ ადგილებშიც. პრობლემა მწვავედ დგას როგორც რაიონულ ცენტრში, ისე ყველა სოფელში. მოსახლეობა შეშინებულია და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს.

გასულ კვირას დედოფლისწყაროში ადამიანის დაგესვლის ორი შემთხვევა დაფიქსირდა. გაზეთი „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, რამდენად დროულად მოხდა რეაგირება და ანტიგიურზინის რამდენ ვაქცინას ფლობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი.

„გვაქვს პრობლემა ქვეწარმავლების მომრავლებასთან დაკავშირებით, რაც წელს შეინიშნება ჩვენს სოფელში. კერძოდ გიურზას სახეობა, რომელიც როგორც იცით, საკმაოდ საშიშია მოსახლეობისთვის. ჩვენი პატარა სოფელი ბოლო წლებში თითქმის დაცარიელდა, მაგრამ ახლა პანდემიის გამო ბევრი ოჯახი რეგიონში დაბრუნდა. როგორც ჩანს, ამის გამო ქვეწარმავლები მომრავლდნენ. უკვე ბევრჯერ ვნახეთ სხვადასხვა სახლში და დიდ საფრთხეს გვიქმნის. მითუმეტეს, ახლა ბევრი ბავშვია სტუმრად ჩამოსული არდადეგების გამო. გვეშინია ბავშვებს არაფერი ავნონ. რა შეიძლება მერიამ ამ შემთხვევაში გააკეთოს და როგორი ზომები შეიძლება მიიღოთ. იქნებ დაგვეხმაროთ. გულწრფელი მოკითხვა თავწყაროდან,“ - ნინო წიკლაურის ეს წერილი რედაქციამ მიიღო.

„მოგეხსენებათ, სოფელ ხორნაბუჯში ხალხთა მეგობრობის მუზეუმს უზარმაზარი ეზო გააჩნია, რომელიც ხევთან მდებარეობს. ამის გამო თითქმის ყოველ ზაფხულს ქვეწარმავლების მომრავლებას ვუჩივით. მითუმეტეს, რომ ეზოში ასევე ძველი, უმოქმედო შენობები გვაქვს, რაც მათი ბინადრობისთვის ხელშემწყობი ფაქტორია. წელსაც, პრევენციის მიზნით ბალახი გავთიბეთ და მთიბავმა შენიშნა ორი დიდი გველი და ასევე შვილები. გაგვაფრთხილა, რომ ისინი აქ ბუდობენ და ფრთხილად ვიყოთ. იქვე ახლოს მდებარე მაღაზიაშიც შევიდა დიდი ზომის გველი, როგორც ამბობენ, გიურზა იყო და იქ მყოფმა პირებმა მოკლეს. - აღნიშნავს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი ქეთევან მჭედლიშვილი.

ჯანდაცვის ცენტრსა და დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ამბობენ, რომ ადგილზე ორ-ორი დოზა ანტიგიურზინის შრატი ინახება და საჭიროების შემთხვევაში დროულ რეაგირებას შეძლებენ.

„გველების მომრავლება ნამდვილად შეინიშნება. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ამჯერად წლის პირველ ნახევარში გაცილებით ნაკლები დაკბენის შემთხვევაა რეგისტრირებული, თუმცა, ზოგადად მოსახლეობისგან მუდმივად ისმის, რომ მრავლად ხედავენ ქვეწარმავლებს. წელს პირველი შემთხვევა ივნისში დაფიქსირდა, მეორე შემთხვევაც ამ თვეში იყო. თავდაპირველად ადამიანის დაგესვლა სოფელ სამთაწყაროში მოხდა, მეორე კი იყო ბოდბეში მცხოვრები მამაკაცი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე დაიგესლა. პირველ შემთხვევაში მამაკაცი სტაციონარში მოთავსდა და პოლივალენტური შრატი გაუკეთდა. ნაკბენის მიხედვით ქირურგი წინასწარ საზღვრავს, არის თუ არა ქვეწარმავალი შხამიანი, ამიტომ, მეორე შემთხვევაში პაციენტს შრატი არ გაკეთებია. ამ ადამიანმა მოახერხა, რომ თავდამსხმელისთვის ფოტო გადაეღო, ნაკბენიც არ განეკუთვნებოდა შხამიანი გველების კატეგორიას. ამის მიუხედავად, ერთი დღის განმავლობაში დააწვინეს სტაციონარში, მოხდა დაკვირვება და ვინაიდან არანაირი სიმპტომი, ან გართულება არ გამოვლენილა, შრატის გაკეთების აუცილებლობა აღარ იყო. მეორე დღეს ეს პაციენტიც განერეს. რაც შეეხება გველის საწინააღმდეგო შრატის მარაგს, ორი ვაქცინა ვადების დაცვით ინახება ჯანდაცვის ცენტრში და როგორც ვიცი კიდევ ორს ფლობს დედოფლისწყაროს საავადმყოფო. ასე რომ, ღმერთმა ნუ ქნას, საჭიროების შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ ოპერატიულ რეაგირებას. ადამიანი გველს თუ არ შეეხო, ისე არ არის აგრესიული. ანუ, შეხების გარეშე თავდასხმაზე თითქმის არ გადმოდის, ამიტომ სიფრთხილისთვის აუცილებელია მაღალ ბალახს მოვერიდოთ და საშიშ ადგილებში დაკვირვებით ვიყოთ,“ - განუცხადა „შირაქს“ მარიეტა გონაშვილმა.

როგოგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში განმარტავენ, ქვეწარმავლების სიმრავლის გამო ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა სურსათის ეროვნული სააგენტო მოეწვია და ქუჩები და სკვერები შეეწამლა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „სხვა წლებისგან განსხვავებით წელს იმდენად ბევრი შემთხვევა იყო, რომ სურსათის სააგენტოს ვთხოვეთ და ცენტრალური ქუჩები და სკვერები შევწამლეთ, რათა მეტად დაცულნი იყვნენ ჩვენი მოქალაქეები. ჩვენს მოქალაქეებს მოვუწოდებ, რომ მაღალი ტემპერატურიდან გამომდინარე ქვეწარმავლები საკმაოდ მომრავლდნენ და ფრთხილად უნდა ვიყოთ. ეზოებსაც მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, მაღალი ბალახი და დაულაგებელი ეზო ქვეწარმავლის ბინადრობისთვის საუკეთესო გარემოს ქმნის და უნდა ვეცადოთ, ეს მოვაგვაროთ, რათა ჩვენი უსაფრთხოება იყოს დაცული. ჩვენ სხვა შემთხვევებშიც ქვედა ზონის სოფლებში ყოველწლიურად ვახდენთ ცალკეული ტერიტორიების სპეციალური ხსნარით დამუშავებას, რომ ქვეწარმავლების გავრცელება არ მოხდეს. მოგეხსენებათ, ალაზნისპირა სოფლებში ყოველთვის უფრო მეტი რისკია ქვეწარმავლების გავრცელების კუთხით, ამიტომ მერიის კეთილმოწყობის სამსახური ცდილობს მაღალი ბალახი მუდმივად გაითიბოს და ხსნარით დამუშავდეს. იგივე ხდება საბავშვო ბაღების და სკოლების ეზოებშიც. იოლად ხელმისაწვდომია ასეთი ხსნარები, თუ პრეპარატები და მოქალაქეებს დამოუკიდებლადაც შეუძლიათ ამ მეთოდს მიმართონ“.

როგორც გაირკვა, სურსათის სააგენტოს გარდა ტერიტორიების დამუშავებას მუნიციპალიტეტიც ახდენს. კეთილმოწყობის სამსახური სხვადასხვა ლოკაციების თიბვასა და შეწამვლას პერიოდულად ახდენს.

„სააღდგომოდ ჩვენ მოვახდინეთ აბსოლუტურად ყველა სასაფალაოს დასუფთავება, გავთიბეთ ბალახი, გავიტანეთ ნაგავი, მოვჭერით გამხმარი ბუჩქები. ჩვენი სამსახური ხშირად, დასვენების დღეებშიც მუშაობს, ქვემო ქედის გზის მიმდებარე ტერიტორიებს ვასუფთვებთ ნაგავისგან და ბალახისგან, უკვე გავასუფთავეთ სოფელ არხილოს და ზემო ქედის გზები. ხშირი წვიმები იყო, ბალახი ისევ წამოვიდა, მომავალ კვირას კვლავ გავთიბავთ ყველა სასაფლაოს ტერიტორიას“ - აღნიშნა დასუფთავების სამსახურის უფროსმა გიორგი ნასრაშვილმა.

მონატრება

ილიკო შარვაძე

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო დედისერთა ბიჭო, ჩემო ილიკო, 21 ივნისს შენ 46 წლის გახდებოდი, შვილო. თითქოს გუშინ იყო, როცა დაიბადე, გულში იმედი და ნატვრა ჩამისახე, სიცოცხლე ულევი სითბოთი და სიხარულით ამივსე, როცა პირველად „დედიკო“ დამიძახე.

21 ივნისი საათნახევრის დამდგარი იყო, როცა შენ ამ ქვეყანას მოევლინე, წახვედი ამ ქვეყნიდან 21 ნოემბერს, როდესაც საათნახევარი იყო დარჩენილი 21 რიცხვის.

ნუთუ ასეთი დამთხვევაც ბედისწერა იყო. რიცხვი 21 ჩემთვის დიდი სიხარულის და ამავე დროს დიდი უბედურების მაუწყებელია, შვილო.

ოჰ, რა ჩქარა გარბის დრო, რამდენი ცრემლიანი დღე და ღამე გავიდა, უშენოდ უკვე მერვედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, ჩემო ილიკო. უამრავი სიხარული და სიყვარული მაკავშირებს ამ დღესთან, ახლა ასე მტანჯველ ტკივილად რომ მქცევია. როგორ ბავშვივით გიხაროდა, როცა გილოცავდნენ, ძალიან გიყვარდა შენი დაბადების დღე, ალბათ იმიტომ, რომ დღეგძელობა არ გწერებია. სულ სადღაც გეჩქარებოდა, სულ მზად იყავი მანქანით სადმე გასაქცევად.

რატომ ამბობენ, ბრალი მისი, ვინც კვდებაო, ბრალი იმ დედას, ვინც შვილის სიკვდილს მოესწრება. უშენოდ ყოველი დღის გათენება ჩემთვის ახალი სიკვდილია, რადგან შვილის შეცვლა არ შეიძლება, ამიტომ შვილმკვდარი დედის გილისთვის არანაირი წამალი არ არსებობს. შენი უბედური დედა ინსტიქტურად გიმატებს წლებს, ამიტომ, ჩემო ილიკო, შენ მუდმივად 38 წლის დარჩი. შენი კუთვნილი წლები ამ ასაკში დამთავრდა. შენ არ გეღირსა დაკაცება, მუდმივად ბიჭად დარჩი, შვილო.

შენ დედისერთა იყავი, მაგრამ გამხსენებლები ბევრი გყავს: მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, კლასელები, მეგობრები, შენი წერეთლის პროსპექტის კორპუსის მეზობლები, ყველა ცრემლითა და სიყვარულით მოგიგონებს. მადლობა ყველა მათ, ვისაც ამ დღეს, თუნდაც ერთი ცრემლი ჩამოუვარდება თვალიდან, ჭიქას ასწევს და იტყვის - დღეს ილიკოს დაბადების დღეა და ცოცხლად ვადღეგრძელოთო, შვილო.

ჩემო დიდო ტკივილო, ვიცი, ცოცხალი რომ ყოფილიყავი როგორც აღნიშნავდი ამ თარიღს შენს ახლობლებთან ერთად. შენ ჩემი ოჯახის საძირკველი და ციხე-სიმაგრე იყავი, ახლა კი ყველაფერმა დაკარგა აზრი უშენოდ. ძნელია სიცოცხლე შვილმკვდარი დედისა და ყოველდღიური მოლოდინი ერთადერთი შვილისა.

შენ სიცოცხლით სავსე, სიცოცხლეზე შეყვარებული და იმედიანი იყავი, მაგრამ ვაი, რომ დედას იმედი გაუცრუე, ვის იმედად დამტოვე, შვილო, ვის ჩაბარე ჩემი თავი. რატომ დამიტოვე შენი თავი იმქვეყანადაც საფიქრელად და მოსავლელად, ალბათ იფიქრე, დედაჩემი როგორც ცოცხალს მივლიდა, ასევე კარგად მომივლის მერეც და არაფერს მომაკლებსო. რატომ გამიმეტე სამუდამო ტანჯვისათვის, შვილო როგორ ველოდებოდი შენს დაკაცებას, მაგრამ არც შენ გეღირსა დაკაცება და არც მე ბედნიერი და უზრუნველი სიბერე, ჩემო მარად ჭაბუკად დარჩენილო, ჩემო ერთადერთო სანთელო. ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანი ცოცხალიაო. შენ იმდენი სიყვარული დატოვე, რომ შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

შენი შვილების გულში მუდამ იქნები საყვარელი ახალგაზრდა მამიკო. როცა შენი ილიკო დაკაცდება, ასწევს ჭიქას, დალევს შენს სადღეგრძელოს და თან იტყვის: მე ძალიან პატარა ვიყავი, არც კი მახსოვს მამაო, ამ სიტყვებისთვის ძალიან მენანებით შენც და ისიც, ჩემო უიღბლო ბიჭებო.

ძალიან ძნელია ერთადერთი შვილის გარეშე ცხოვრება, ჯოჯოხეთია. მხოლოდ შენთან შეხვედრის მოლოდინით ვცოცხლობ, არ გეცოდები, შვილო, როდის მიხმობ შენთან, როდის?!

ჩემო ილიკო, შენ სულ ჩემთან ხარ და იქნები მუდამ და თუკი სული უკვდავია, იმ ქვეყნად ყველას გარდაუყვალი შეხვედრა გველოდება, ნათელი იყოს ჩვენი მომავალი გზა და ბედნიერი იყოს ჩვენი შეხვედრა, ჩემო დედისერთავ.

შენი მონატრებული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

გარდაიცვალა ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ყოფილი თანამშრომელი, წითელწყაროს სახალხო თეატრის მსახიობი, ბულგარეთის 1987 წლის ფოლკლორის ფესტივალის ლაურეატი ნიაზი გაგაძე.

მას 1980-1988 წლებში რაიონის კულტურული ცხოვრების განვითარებაში ნაყოფიერი წვლილი აქვს.

დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის და საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლები იუწყებიან ღვაწლმოსილი მუშაკის, სოფელ სამრეკლოს უფროსი ბიბლიოთეკარის

მაყვალა მილაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულთა სახელით თამარ პოპიაშვილი, ცისმარი და გულნარა ღორაშვილები, თამარ თარაშვილი და დარმანტი სულაშვილი იუწყებიან თანაკლასელის

სპარტაკ მამუკელაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებსა და ახლობლებს.

ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიციას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიციას და საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველეს ტრადიციულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ამის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებაშია აღნიშნული, რომელიც საკანონმდებლო მაცნეზე უკვე გამოქვეყნდა. ბრძანების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტებს სტატუსი საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მიენიჭა. „მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს - „ქართველების იდენტობის სიმბოლოს - ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიცია“ და „საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველესი ტრადიციული მეთოდი“. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განცხადება!

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღზრდელო ცენტრი აცხადებს:

აღსაზრდელების მიღებას 2020-2021 სასწავლო წლისთვის.

განცხადებების მიღება მიმდინარეობს 10 ივლისის ჩათვლით, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ადმინისტრაციაში.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ.№1, 09:00-დან 18:00სთ-მდე. შესვენება: 13:00დან 14:00-მდე.

ულოცავენ!

დემეტრე ომარაშვილს!

11 ივნისს 11 წლის გახდი - ოქროს დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო საამაყო ბიჭო. თბილისის გურამ დოჩანაშვილის სახელობის ქართული საერთაშორისო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ხარ. წარჩინებულ სწავლასთან ერთად გამოირჩევი მხატვრობისა და მოქანდაკეობის განსაკუთრებული ნიჭით. შენ არაერთხელ ასახელე შენი სკოლა, მშობლები და ნათესავები. იყავ ჯანმრთელი და კვლავაც მრავალ წარმატებას გისურვებთ. გვიყვარხარ, გკოცნით და გეფერებით.

ახლობლების სახელით,
ნანა ჭიჭინაძე და მარიკა პოპიაშვილი

სპარტაკ ღორაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ დაბადების დღეს. შვიდ ათეულს გადააბიჯე და დიდი და ლამაზი ოჯახის პატრონი ხარ. შენს გულს ახარებენ: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილი, რძლები და სიძეები, რომლებიც აფასებენ იმ შრომას, რომელიც შენ გასწიე მათი კეთილდღეობისთვის. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. იყავ ბედნიერი შენს მეუღლესთან, თამარ პოპიაშვილთან ერთად, რომელიც მუდამ ღირსეულად გიდგას მხარში. უფალი იყოს შენი და შენი დიდი ოჯახის მფარველი.

სიყვარულით,
შენი და ანგელინა; **ბიძაშვილები:** ნაირა, ციხელო, გულნარა, მანანა და თამილა, **რძალი** ლეილა სულაშვილი **ოჯახებით.**

მარინა ცხვედიაშვილს! ჯემალ კუხალაშვილს! ლია ვაიტაძეს! თენგიზგონაშვილს!

4 ივნისს თქვენს დიდ ოჯახს კიდევ ერთი სიცოცხლე შეემატა - დაიბადა პატარა ელენე კუხალაშვილი. ახალშობილს ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას თავის ძმა **ლუკასთან** ერთად. მის მშობლებს - **სალომე გონაშვილს** და **გიორგი კუხალაშვილს** სასახელო შვილების გაზრდას, თქვენ კი, ბედნიერ პაპა-ბებიაობას. გამრავლდით და გაიხარეთ!

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა და წევრები

იყიდება!

იყიდება რკინის მილები 155 მმ-იანი, 5 ცალი, თითოეულის ზომა 8.5მმ. სულ 42.5მ სიგრძის. კედლის ზომა 5მმ. რკინა-ბეტონის პლიტები (ზომა 6x2 -ზე). ტელ: 598-85-08-50

ამინდი — დედოფლისწყარო

	დღე	ღამე
ორშაბათი 22.06	28°	17°
სამშაბათი 23.06	30°	22°
ოთხშაბათი 24.06	32°	22°
ხუთშაბათი 25.06	32°	22°
პარასკევი 26.06	26°	19°
შაბათი 27.06	18°	14°
კვირა 28.06	18°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.